

აპოლონ ჯინჭარაძე – გენეტიკური დაქტილოსკოპიის მეთოდის ერთ-ერთი ფუძემდებელი

1996 წელს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ბორის ელცინის 18 ივნისის ბრძანებულებით ქართველ მეცნიერს აპოლონ გიზოს ძე ჯინჭარაძეს (გარდაცვალების შემდეგ), რამდენიმე რუს კოლეგასთან ერთად მიენიჭა რუსეთის სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში, გენეტიკური დაქტილოსკოპიის თეორიული და გამოყენებითი პრობლემების დამუშავებისთვის. დიდი ივანე ბერიტაშვილის შემდეგ იგი მეორეა ქართველ ბიოლოგთაგან, ვინც ამგვარი ჯილდო დაიმსახურა.



გენომური დაქტილოსკოპიის ფუძემდებლად ითვლება ინგლისელი მეცნიერი ალექსანდრე თანაავტორებთან ერთად (1985 წ.). ა.ჯინჭარაძის დამსახურება ის არის, რომ მან აღმოაჩინა სპეციფიკური მოლეკულური ზონდი, რომლის საშუალებითაც დგინდება ინდივიდუალური განსხვავება მხოლოდ ადამიანებში. აპოლონ ჯინჭარაძემ კი შეძლო აღმოეჩინა ახალი ზონდი ერთ-ერთი ბაქტერიოფაგის (M13) საფუძველზე, რომელიც უნივერსალურია ცოცხალი სამყაროს მიმართ. ამ ზონდის საშუალებით შესაძლებელია იდენტიფიცირება ცალკეული ინდივიდუუმებისა ადამიანებში, ცხოველებსა და მცენარეებში, აგრეთვე განსხვავებების დადგენა მიკროორგანიზმების ცალკეულ შტამებს შორის.

აპოლონ ჯინჭარაძე დაიბადა 1961 წლის 6 იანვარს თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1977 წელს დაამთავრა თბილისის 47-ე საშუალო სკოლა. 1983 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული კურსი სპეციალობით – ბიოლოგია, “გენეტიკა”. ა.ჯინჭარაძის განსაკუთრებული ნიჭი შეამჩნია გენეტიკის კათედრის გამგემ პროფ. თეიმურაზ ლეჟავამ. მან ა.ჯინჭარაძე მიავლინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სერგი დურმიშიძის სახელობის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის ნუკლეინის მჟავების ლაბორატორიაში (ხელმძღვანელი აკადემიკოსი თენგიზ ბერიძე) მოლეკულურ ბიოლოგიასა და მოლეკულურ გენეტიკაში მოსამზადებლად. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი, როგორც მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომელი, ჩაირიცხა მიზნობრივ ასპირანტურაში რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის – ვ. ენგელჰარდტის სახელობის მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტში. 1988 წლის 24 თებერვალს იქვე მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: “დნმ-ის ევოლუციურად კონსერვატიული განმეორებადი თანმიმდევრობები და მათი გამოყენება გენომურ დაქტილოსკოპიაში”. სწორედ საკანდიდატო დისერტაციაზე მუშაობისას აღმოაჩინა ა.ჯინჭარაძემ შემოადინიშნული ზონდი.



აპოლონ ჯინჭარაძე 1988 წელს თბილისში დაბრუნდა და განაგრძო მუშაობა ს.დურმიშიძის სახ. მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტში. 1989 წლის 4 მარტს იგი მოულოდნელად გარდაიცვალა, მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ლექციის წასაკითხად ემზადებოდა. აღსანიშნავია, რომ ა.ჯინჭარაძის გარდაცვალების შემდეგ, მისმა კოლეგამ პავლე ივანოვმა გამოიყენა რა ა.ჯინჭარაძის მიერ აღმოჩენილი ზონდი, მოახდინა რუსეთის მეფის ნიკოლოზ მეორის ნეშტის იდენტიფიცირება იაპონიაში შემონახული მეფის სისხლით გაჟღენთილი დოლბანდის საშუალებით. ა.ჯინჭარაძის სიცოცხლის პერიოდშივე ამ

მეთოდით ძლიერ დაინტერესდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალური სამმართველოს მაშინდელი უფროსი დორიან როსტიაშვილი. შესრულდა გარკვეული სამუშაო და ფაქტობრივად ეს მეთოდი დაინერგა საქართველოში.

ფოტოები და ცნობები აპოლონ ჯინჭარაძის შესახებ მოგვაწოდა მისმა ძმამ, ექიმმა ბადრი ჯინჭარაძემ

